საიდ. №72417/03

IR 652800

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №130-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ ,,საქპატენტთან" არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე (თავმჯდომარე), ქ. კილაძე, ლ. კერესელიძე, ლ. ახობაძის მდივნობით განიხილა კომპანიის ,,სვისოტელ მენეჯმენტ გმბჰ" (Swissôtel Management GmbH) (მის.: ბალც ციმერმანშტრასე 7, CH-8302 კლოტენ; Balz-Zimmermannstrasse 7, CH-8302 Kloten (CH)) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №130-03/14), რომლითაც მოითხოვება ,,საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ" სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის ,,საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 24 აპრილის №787/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის -

,,swissôtel“ (საიდ.№72417/03 IR 652800) დაცვის მინიჭება საქართველოში მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (42-ე კლასი).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 24 აპრილის №787/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარდგენილი ნიშანი "swissôtel" ქართულად ითარგმნება, როგორც ,,შვეიცარიული სასტუმრო" და შესაბამისად აღწერილობითია 42-ე კლასის განცხადებული მომსახურების მიმართ, ვინაიდან შედგება მომსახურების მხოლოდ სახეობისაგან, რაც ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის "დ" ქვეპუნქტის შესაბამისად წარმოადგენს ნიშნის დაცვაზე უარის თქმის აბსოლუტურ საფუძველს.

აპელანტი არ ეთანხება საქპატენტის ექსპერტიზის გადაწყვეტილებას და მიიჩნევს, რომ არ არსებობს საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის საქართველოში გავრცელებაზე ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უარის თქმის საფუძველი. აპელანტის აზრით, გასავრცელებლად წარმოდგენილ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს ,,SWISSOTEL“ საკმარისი განსხვავებადობა გააჩნია და ის არ არის აღწერილობითი 42-ე კლასის განცხადებული მომსახურებებისათვის.

,,Swissôtel“-ის სასტუმროები და დასასვენებელი კომპლექსები სათავეს იღებს შვეიცარიიდან, რომელიც ცნობილია საოცარი ბუნებითა და ცხოვრების მაღალი დონით. მაღალი კლასის სასტუმროები ,,Swissôtel“ იზიდავს, როგორც ბიზნეს მოგზაურებს ისე დამსვენებლებს, რომლებიც მიჩვეულნი არიან ცხოვრების მაღალ დონეს (იხ. ვებ გვერდი-www.swissotel.com/about-swissotel).

აპელანტი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სასაქონლო ნიშანი ,,Swissôtel“ შესრულებულია ერთ სიტყვად და მთლიანობაში ფანტაზიურია, ვინაიდან არ გააჩნია მნიშვნელობა არც ერთ ენაზე. სიტყვა ,,Swissôtel“ არ არის ასევე ასახული არც ერთ ლექსიკონში. აპელანტი ეწინააღმდეგება სასაქონლო ნიშნის ორ სიტყვად ,,Swiss” და “ôtel”-ად დაყოფას და მიიჩნევს, რომ სასაქონლო ნიშანი შეფასებულ უნდა იქნას მთლიანობაში და არა მისი შემადგენელი ელემენტები ცალცალკე. მთლიანობაში კი სიტყვა ,,Swissôtel“ არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს აღწერილობითად განცხადებული მომსახურებებისათვის.

სასტუმროების ქსელი ,,Swissôtel“ გავრცელებულია მთელს მსოფლიოში. ყველაზე ადრე სასტუმრო გაიხსნა ციურიხში 1982 წელს. დღეისათვის მსოფლიოში 45-მდე სასტუმრო არსებობს დასახელებით ,,Swissôtel“, მათ შორის ქართველი მომხმარებლისათვის ისეთ პოპულარულ კურორტებზე, როგორიცაა შარმ ელ შეიხი, ბოდრუმი, ასევე სტამბულში, ბაქოში, დუბაიში, ამსტერდამში და ა.შ.

სასაქონლო ნიშანი ,,Swissôtel“ რეგისტრირებულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ამრიგად, თითქმის მთელს მსოფილოში ნიშანი არ იქნა მიჩნეული აღწერილობითად განცხადებული მომსახურების მიმართ.

აპელანტი მიიჩნევს, რომ მთელს მსოფლიოში 30 წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში არსებული სასტუმროების პოპულარობა, რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნები და მათი გამოყენება განაპირობებს იმ ფაქტს, რომ ნიშანმა მოიპოვა განსხვავებადობა და განსხვავებულ სიმბოლოდ დამკვიდრდა 42-ე კლასის მომსახურებებისათვის.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი მიიჩნევს, რომ არ არსებობს საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის ,,Swissôtel“ (IR 652800) საქართველოში 42-ე კლასის მომსახურებებისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. №130-03/14) არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც აღწერილობითია იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია, შედგება საქონლის მხოლოდ სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებისაგან ან/და მიჩნეულია ასეთად;“.

სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი ,,Swissôtel“ (IR 652800) აღწერილობითია იმ მომსახურების მიმართ, რომლისათვისაც მოითხოვება მისი დაცვა. 42-ე კლასის განცხადებული მომსახურება (ნიცის საერთაშორისო კლასიფიკატორის დღეს მოქმედი მე-10 რედაქციის შესაბამისად 43-ე კლასი) მოიცავს: ,,კვება და საცხოვრებლით უზრუნველყოფის მომსახურებას, კერძოდ, სასტუმროებში ფიტნეს და ბიზნეს ცენტრების მომსახურება და მომსახურება დაკავშირებული ჯავშანის განხორციელებასთან სასტუმროებისა და რესტორნების ქსელში“ (,,Catering and accommodation services, in particular in hotels with fitness and business centres, and services in connection with bookings in the hotels and restaurants sector“). აღნიშნული ჩამონათვალი პირდაპირ აღწერს მომსახურების სახეობას, განკუთვნილს სასტუმროების ქსელისათვის. სააპელაციო პალატის კოლეგია ვერ გაიზიარებს აპელანტის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ტერმინი ,,Swissôtel“ ფანტაზიურია და არ შეიძლება მასში შემავალი ორი სიტყვიერი ელემენტის ,,Swiss“ და ,,ôtel“ ცალ-ცალკე, როგორც შვეიცარიული სასტუმროს, განხილვა. სასაქონლო ნიშანი ,,Swissôtel“ შესრულებულია ლათინური შრიფტით და მიუხედავად იმისა, რომ სასაქონლო ნიშანში ამოვარდნილია ლათინური ანბანის ასო

,,H“, მომხმარებელი, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს მაინც აღიქვამს, როგორც მინიშნებას სასტუმროზე (Hotel-ზე). გარდა ამისა, სასაქონლო ნიშანი გამოითქმის როგორც - ,,სვისოტელ“, რაც ქართულად ითარგმნება, როგორც შვეიცარიული სასტუმრო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას და სასაქონლო ნიშანს ,,Swissôtel“ (IR 652800) არ უნდა მიენიჭოს დაცვა მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის ,,სვისოტელ მენეჯმენტ გმბჰ“ (Swissôtel Management GmbH) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №130-03/14) არ დაკმაყოფილდეს.

2. ძალაში დარჩეს ,,საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ” სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის ,,საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 24 აპრილის №787/03 ბრძანება.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ნ. გოგილიძე

წევრები: ქ. კილაძე

ლ. კერესელიძე